Programmatic Cooperation Framework for
Armenia, Azerbaijan, Georgia, Republic of Moldova, Ukraine and Belarus

Funded
by the European Union
and the Council of Europe

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

Implemented
by the Council of Europe

ინფორმაცია პრესისთვის

# ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაცია საქართველოში და რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია

## პროექტის ბენეფიციარები

- ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს ექნებათ უკეთესი წარმოდგენა ქარტიაზე და ეცოდინებათ, თუ როგორ დაიცვან საკუთარი ენები უმცირესობათა შესახებ არსებული ევროპული სტანდარტების შესაბამისად.
- ზოგადად მოსახლეობა, სასამართლო ორგანოების თანამშრომლები, სოციალური მზრუნველობის ობიექტების, ადგილობრივი მცირე ბიზნესის წარმომადგენლები, სკოლის დირექტორები, მასწავლებლები და ჟურნალისტები მიიღებენ ზუსტ და ობიექტურ ინფორმაციას ქარტიის, ეროვნული უმცირესობებისა და მათი ენების დაცვის შესახებ.
- სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, გადაწყვეტილების მიმღები პირები, პარლამენტის წევრები და ეროვნული უმცირესობების ორგანიზაციები, როლებსაც ექნებათ გაზრდილი შესაძლებლობები იმუშაონ ეროვნული უმცირესობების საკითხებზე.

## პროექტის მიზნები

- შეიქმნას პირობები ქარტიის რატიფიცირებისა და მისი შემდგომი განხორციელებისთვის;
- კონსულტაცია ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის ლინგვისტურ, საგანმანათლებლო და კულტურულ ასპექტებზე.

## როგორ იმუშავებს პროექტი?

- საინფორმაციო შეხვედრების გზით, რომლებიც ორგანიზებულია ეროვნული უმცირესობებისთვის სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის

## პროექტის აქტივობები

- ქარტიის და მისი რატიფიცირების შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული საქმიანობების განხორციელება;
- შესაძლებლობათა ზრდასთან დაკავშირებული

Programmatic Cooperation Framework for
Armenia, Azerbaijan, Georgia, Republic of Moldova, Ukraine and Belarus

Funded
by the European Union
and the Council of Europe

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

Implemented
by the Council of Europe

## ინფორმაცია პრესისთვის

## ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაცია საქართველოში და რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია

ორგანოებისა და მოსახლეობის ჩართულობით;
- ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული საქმიანობებით, რაც სხვადასხვა საინფორმაციო საშუალების გამოყენებით განხორციელდება;
- საინფორმაციო მასალის შემუშავებითა და გავრცელებით;
- შესაძლებლობათა ზრდაზე მიმართული საქმიანობებით.

საქმიანობების ჩატარება ქარტიის განხორციელების მიზნით;
- ეროვნული უმცირესობებისთვის ისეთი მრავალენოვანი განათლების სისტემის შემუშავებაში ხელშეწყობა, სადაც ქართული ენისა და უმცირესობათა ენების სწავლება კომბინირებული იქნება;
- ისეთი კულტურის პოლიტიკის შემუშავებაში დახმარება, რომელიც ითვალისწინებს ეროვნულ უმცირესობებს;
- ტურისტულ-კულტურული რუკის შემუშავება, რომელიც აერთიანებს ეროვნული უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, რაც მიზნად ისახავს მოსახლეობაში ეროვნული უმცირესობების დადებითი იმიჯის ხელშეწყობას.

### რა დაჯდება პროექტი?

- პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 350,000 ევროს

### ვინ არის პასუხისმგებელი პროექტზე?

პროექტი ხორციელდება ქარტიის სამდივნოს, ანტი-დისკრიმინაციისა და სოციალური თანადგომის დეპარტამენტის, ადამიანის ღირსებისა და თანასწორობის დირექტორატის, დემოკრატიის გენერალური დირექტორატის მიერ.

### დამატებითი ინფორმაციისათვის


- მარიამ წიქვაძე, პროექტის ოფიცერი
Mariam.tsikvadze@coe.int


**http://eap-pcf-eu.coe.int**

Funded
by the European Union
and the Council of Europe

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

Implemented
by the Council of Europe

ინფორმაცია პრესისთვის

## ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაცია საქართველოში და რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია

2014 წლის აპრილში ევროკავშირი (EU) და ევროპის საბჭო (CoE) შეთანხმდნენ, რომ მიზნობრივი თანამშრომლობა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან - სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდავეთის რესპუბლიკა, უკრაინა და ბელორუსია, „პროგრამული თანამშრომლობის პლატფორმის" (PCF) ფარგლებში განხორციელდებოდა.

აღნიშნული თანამშრომლობა გააძლიერებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების (რომლებიც, ამავდროულად, ევროპის საბჭოს წევრები არიან, გარდა ბელორუსიისა) შესაძლებლობებს განახორციელონ რეფორმები ადგილობრივ დონეზე, რაც მათ დააახლოებს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის სფეროში არსებულ ევროპულ სტანდარტებთან.

„პროგრამული თანამშრომლობის პლატფორმის" საერთო ბიუჯეტი 2015-2017 წლებისთვის შეადგენს 33.8 მილიონ ევროს.